

ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა

მისაღები გამოცდა

მათემატიკა

დონე II


სახელი, გვარი: _____

ქულა: _____

კლასი: _____

თარიღი: _____

- რომელია ის უდიდესი სამნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამიც ტოლია 15-ის?
(ა) 824 (ბ) 942 (გ) 951 (დ) 960 (ე) 962
- გადაკვეთის წერტილების რა უდიდესი რაოდენობა შეიძლება ჰქონდეს წრეწირს სამკუთხედის გვერდებთან?
(ა) 3 (ბ) 4 (გ) 6 (დ) 8 (ე) 9
- 9:30 საათზე, როცა გიგა სტატიის რედაქტირებას შეუდგა, შესვენებამდე 3 საათი და 40 წუთი იყო დარჩენილი. გიგამ სამუშაო შესვენებამდე 30 წუთით ადრე შეასრულა. რომელი საათი იყო ამ დროისათვის?
(ა) 10:40 (ბ) 11:30 (გ) 12:20 (დ) 12:30 (ე) 12:40
- წრიული ფორმის გზის A პუნქტიდან მოძრაობას იწყებს ორი ავტომობილი. თითოეული მათგანი მოძრაობს მუდმივი სიჩქარით და ერთი და იმავე მიმართულებით. ამასთან, ერთი ავტომობილი წრიული გზის სრულ შემოვლას ანდომებს 6 წუთს, მეორე კი – 8 წუთს. მოძრაობის დაწყებიდან რამდენი წუთის შემდეგ აღმოჩნდება პირველად ორივე ავტომობილი ერთდროულად A პუნქტში?
(ა) 6 (ბ) 8 (გ) 12 (დ) 24 (ე) 48
- ლოკოკინა ყოველ 6 წამში 5 სმ-ს გადის და ყოველი 5 მეტრის გავლის შემდეგ 2 წუთს ისვენებს. მოძრაობის დაწყებიდან რამდენ ხანში გაივლის ლოკოკინა 20 მეტრს?
(ა) 25 წუთში (ბ) 30 წუთში (გ) 36 წუთში (დ) 42 წუთში (ე) 46 წუთში
- 3სმ×4სმ ზომის ორი ფოტოსურათი დევს 10სმ×15სმ ზომის ფურცელზე ისე, რომ ერთ-ერთი ფოტოსურათი ფარავს მეორე ფოტოსურათის 4სმ ფართობის ნაწილს (იხ. ნახაზი).
იპოვეთ ფურცლის დაუფარავი ნაწილის ფართობი.
ა) 116 სმ² ბ) 126 სმ² გ) 130 სმ² დ) 146 სმ² ე) 150სმ²



7. კუბის ზედაპირი უნდა შეიღებოს ისე, რომ თითოეული წახნაგი აღმოჩნდეს შეღებილი ერთ ფერად და ყოველი ორი წახნაგი, რომელთაც გააჩნიათ საერთო წიბო, არ იყოს შეღებილი ერთი და იმავე ფერის საღებავით. რა უმცირესი რაოდენობის სხვადასხვა ფერის საღებავია ამისათვის საჭირო?

- (ა) 2 (ბ) 3 (გ) 4 (დ) 5 (ე) 6

8. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა სამი – A , B და C პარტია. A და B პარტიამ ერთად ამომრჩეველთა ხმების 60% დააგროვა, B და C პარტიამ ერთად კი – 45%. ხმების რამდენი პროცენტი დააგროვა B პარტიამ, თუ ცნობილია, რომ თითოეულმა ამომრჩეველმა ხმა მისცა A , B და C პარტიებიდან ზუსტად ერთს?

- (ა) 5% (ბ) 10% (გ) 15% (დ) 45% (ე) 65%


9. უდიდესი ლუწი სამნიშნა რიცხვი, რომლის ყოველი ორი ციფრი ერთმანეთისგან განსხვავებულია, არის:

- ა) 978 (ბ) 986 (გ) 988 (დ) 998 (ე) 999

10. მატარებლის ვაგონის სიგრძეა 15 მ, ვაგონებს შორის მანძილი კი – 1,2 მ. რისი ტოლია 6 ვაგონისგან შემდგარი შემადგენლობის სიგრძე?

- (ა) 85 მ (ბ) 95,4 მ (გ) 96 მ (დ) 97,2 მ (ე) 100 მ

11. ნახაზზე გამოსახულია მართკუთხედი, რომელიც ოთხ – I, II, III და IV – კვადრატად არის დაყოფილი. რისი ტოლია მართკუთხედის ფართობი, თუ IV კვადრატის ფართობი 4 სმ²-ია?



- ა) 16 სმ² (ბ) 32 სმ² (გ) 44 სმ² (დ) 56 სმ² (ე) 60 სმ²

12. ოთხი ერთნაირი ნამცხვრის გამოსაცხობად საჭიროა პარკში მოთავსებული ფქვილის 8/15 ნაწილი. ყველაზე მეტი, რამდენი ასეთი ნამცხვრის გამოცხობაა შესაძლებელი ამ პარკში არსებული ფქვილით?

- (ა) 5 (ბ) 6 (გ) 7 (დ) 8 (ე) 10

13. ჭურჭლიდან გადაასხეს სითხის ნახევარი და დარჩენილი სითხე თანაბრად გაანაწილეს 3 ჭიქაში. რა რაოდენობის სითხე ესხა ჭურჭელში თავდაპირველად, თუ თითოეულ ჭიქაში 200 გრამი სითხეა?

- (ა) 400 გ (ბ) 500 გ (გ) 1000 გ (დ) 1200 გ (ე) 1800 გ


14. A და B გუნდებს შორის საკალათბურთო მატჩში 6 ქულის სხვაობით გაიმარჯვა A გუნდმა. მატჩის პირველი ნახევარი დასრულდა ანგარიშით 43 : 47 B გუნდის სასარგებლოდ. რამდენი ქულით მეტი დააგროვა A გუნდმა მატჩის დარჩენილ ნაწილში, B გუნდთან შედარებით?

- ა) 4 ქულით (ბ) 6 ქულით (გ) 10 ქულით (დ) 30 ქულით (ე) 47 ქულით

15. გადაკვეთის წერტილების რა უდიდესი რაოდენობა შეიძლება ჰქონდეს ერთ სიბრტყეზე გავლებულ ოთხ ერთმანეთისგან განსხვავებულ წრფეს?

- (ა) 2 (ბ) 3 (გ) 6 (დ) 8 (ე) 10

16. მართკუთხედის ფორმის კედელი კვადრატის ფორმის ერთნაირი ფილებით იყო დაფარული. დროთა განმავლობაში ფილების გარკვეული ნაწილი ჩამოცვივდა. დარჩენილი ფილები ნახაზზე მუქი ფერითაა გამოსახული. კედლის ფართობის რა ნაწილია ფილებით დაფარული?



- (ა) 1/5 (ბ) 1/4 (გ) 2/5 (დ) 3/4 (ე) 5/6

17. კომპანიას ჰყავს სამი აქციონერი – A, B და C. ამასთან, A და B აქციონერები ერთად ფლობენ აქციათა 65%-ს, ხოლო B და C აქციონერები ერთად ფლობენ აქციათა 55%-ს. აქციათა რამდენ პროცენტს ფლობს B აქციონერი?

- (ა) 10% (ბ) 20% (გ) 25% (დ) 30% (ე) 55%


18. სულ რამდენი 600-ზე ნაკლები სამნიშნა რიცხვი არსებობს ისეთი, რომლის ჩაწერისას გამოიყენება მხოლოდ ციფრები – 5, 6 და 7?

- (ა) 5 (ბ) 6 (გ) 9 (დ) 18 (ე) 27

19. კვადრატის ფორმის მუყაოს ნაჭერი გაჭრეს სწორი ხაზის გასწვრივ და მიიღეს ორი გეომეტრიული ფიგურა. ქვემოთ ჩამოთვლილი ფიგურების წყვილებიდან რომელი არ შეიძლება იყოს მიღებული ამ გზით?

- (ა) ორი მართკუთხა სამკუთხედი
- (ბ) სამკუთხედი და ტრაპეცია
- (გ) ორი მართკუთხედი
- (დ) მართკუთხედი და სამკუთხედი
- (ე) ორი ტრაპეცია

20. მოცემულია ABC სამკუთხედი, რომლის ABC შიგა კუთხე 60° -ის ტოლია. AC გვერდზე აღებულია D წერტილი, რომელიც შეერთებულია ABC სამკუთხედის B წვეროსთან (იხ. ნახაზი). იპოვეთ ნახაზზე მითითებული 1, 2, 3 და 4 კუთხეების გრადუსულ ზომათა ჯამი.



- (ა) 180° (ბ) 270° (გ) 300° (დ) 360° (ე) 480°